

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის
1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-კულტურული გაზეთი

№27 (6792) 24 დეკემბერი ოთხშაბათი 1997 წელი

გაგონიერად

ეროვნული

ბიულეთი

«ლეჩხუმი»

მიმდინარეობს ხელმოწერა გაზეთ „ლეჩხუმი“ 1998 წლის პირველი ნახევრისთვის. გაზეთზე ხელმოწერის ფასია 4 ლარი. ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ „ლეჩხუმის“ რედაქციაში (ქოველ-დღე, გარდა შაბათ-კვირისა და სათიშინ 18 საათამდე) ან შესაბამის სოფლის საფოსტო განყოფილებაში.

იხმარეთ, ხელმოწერა შეაღწეოთ.
გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია.

შენიშვნები

ტაშვილი. იგი თათბირის
მონაწილეებს ესაუბრა

გადაცემის აქტები შევსებ-
ულია საკრებულოებში,

საკითხს სოფელი აყენებს

1997 წელი უკანასკნელ დღეებს ითვისებს. ყველაფერი ჩამდებია გატარებული მუშაობის შედეგები და ისახება მომავლის ამოცანებზე. სწორედ ამ მიზანს ემსახურება რაიონის საკრებულოებში წამართვის სეზონისათვის მზადყოფნის, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დათვალიერების მიზნით ზონალური თათბირების ჩატარება, რომელსაც ხელმძღვანელობს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ტარლო კვირიკაშვილი. მონაწილეობენ რაიონული გამგეობის წევრები; წარმოება-ორგანიზაციის, სამართალ დამცავ ორგანოს, ხელმძღვანელები, აქტივი. ასეთი ზონალური თათბირები უკვე გაიმართა 15 დეკემბერს ლაჩანის სასოფლო კულტურის სახლში, ორბელის, უსახელოს, ლაილამის სასოფლო საკრებულოებში შემაჯავლო სოფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით. 8 დეკემბერს ქვედა ცაგერის სასოფლო კლუბში, ქვედა ცაგერის საკრებულოში შემაჯავლო სოფლების მცხოვრებლების და აქტივის მონაწილეობით 15 დეკემბერს ალპანის სასოფლო კულტურის სახლში, ტვიშის, ღვირიშის საკრებულოებში შემაჯავლო სოფლების წარმომადგენლების აქტივის მონაწილეობით.

ზონალურ თათბირებზე მოხსენებებით გამოვიდა რაიონის გამგეობის თავმჯდომარე ტარლო კვირი-

შათბირის ამას წინათ გამართულ გაფართოებულ თათბირის შედეგებზე, რომელიც მიმდინარეობდა ტროიკაციის საკითხებს, ენერგეტიკულ სფეროში არსებულ ვითარებას. ისაუბრა ქვეყნის პრეზიდენტ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის შედეგებზე, კერძოდ, იმ საკითხებზე, იმ საკმინაობაზე, რასაც გამგეობა ბოლო ორი წლის მანძილზე ახორციელებს. აღნიშნა, რომ პრეზიდენტი გაგებით მოეკიდა ლეჩხუმის გაჭირვებას, დაავალა სამინისტროთა ხელმძღვანელებს ადგილზე მისვლით საკითხების შესწავლა, სამთავრობო წინადადებების მომზადება.

ზონალურ თათბირებზე მომხსენებლისა და სიტყვაში გამოსულთა მიერ დაისვა ზოგი პრობლემური საკითხი, რომლებსაც აქვე გვიჩვენებ.

ლაჩანაში ჩატარებულ ზონალურ თათბირზე აღინიშნა, რომ ლაჩანურის ხეობაში უკანასკნელ წლებში მდინარე ლაჩანურმა წყალდიდობების შედეგად მნიშვნელოვნად დააზიანა შენობა-ნაგებობანი, გზები, ხიდები, საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. საჭიროა გაგრძელდეს ნაპირსამაგრი სამუშაოები. ნაკლოვანებებია მიწის პრივატიზაციაში, მართალია, მიწის

მაგრამ მოსახლეობას არ მიაქვს. არადა მიწის პრივატიზაციას ვადა გასდის მომავალი წლის მარტში. შემდეგ კი გლახმა მიწა უნდა გამოისყიდოს, ფასები კი მაღალია. უსახელოს ლაჩანის, სურამში-ჭილგის საავტომობილო გზები სისტემატურად იმეწყობა, ლაილამის საშუალო სკოლის და ლაჩანის ბაგაბაღის შენობები ავარიულ მდგომარეობაშია. სკოლების მეტი წილის საკლასო ოთახებს მინები არ აქვს, სკოლებს შესაძენი თანხა არა აქვთ არც იშვიათად რაიონში რომ შეიძინონ. ტელეფონი არ არის სურამში, თაბორში, ლაციორის საშუალო სკოლაში, სკოლა-ინტერნატში. კაპიტალურ რემონტს საჭიროებს ლაჩანის სკოლა-ინტერნატის შენობები. შენობათა ნაწილი კერძო მცხოვრებლებს უკავია, კარგი იქნება ის შენობები, რომლებიც ინტერნატს არ სჭირდება, პრივატიზებული იქნას. მოითხოვს სამეურნეო-ბათუმის სატყეო მეურნეობის კუთვნილი ტყეები გადაეცეს საკრებულოებს. რათა ისინი არ გაიჩეხოს ისე, როგორც ამჟამად ხდება, გადაუღებელ შეკეთებას მოითხოვს ლაჩანის კულტურის სახლი და მასთან მისასვლელი გზა.

ქვედა ცაგერის სასოფლო კლუბში გამართულ

ზონალურ თათბირზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მოსახლეობაში დიდი რაოდენობით გაფუჭდა ხილი, რადგან არ მიმდინარეობს მისი დამზადება. ნელი ტემპით მიმდინარეობს მიწის პრივატიზაცია. მოითხოვს მეტი დახმარება მიწის მართვის სამართლებლოდან. სამართალდამცავი ორგანოებიდან, რადგან ხდება მიწების მიტაცება, რა მასალებიც გადასცეს პროკურატურას. მათზეც არაა რეაგირება. ცხენისწყლის აუზის ნაშალი მასალებით ამოვსების შედეგად საფრთხეშია ლაილამისა და ქვედაცაგერი-ჭალისთავის ჭალის ფართობები. სასწრაფო გასაკეთებელია ნაპირ სამაგრი.

ლაჩანურის მუშა მოსამსახურეებს რამდენიმე თვეა არ მიუღიათ ხელფასები. სატელეფონო კავშირები არ არის ღვირიშთან. ნაკურალეშთან. ტვიშთან. მოითხოვს რაიკოპერატორის მალაზიების ამოქმედება და საჭირო საქონლით მომარაგება, უმოწყალოდ იჩენება სოფელ სანორჩის მიმდებარე ტყეები დაუცველობის გამო. საჭიროა აღდგეს ცაგერი-ღვირიშის მარშრუტის ავტობუსის მუშაობა კვირაში ერთი დღე მაინც (ხუთშაბათობით). ავარიულ მდგომარეობაშია ტვიშის საკრებულოს, ორხვის არასრული საშუალო სკოლის შენობები, ცუდ მდგომარეობაშია სოფელ ტვიშში შიდა სასოფლო ელექტრო ქსელი.

მოქალაქეთა
კავშირები

მოიხსენეს

რაიონის

გამგებლის

ანგარიში

დღეს მოქალაქეთა კავშირი მმართველი პარტიაა ქვეყანაში. ამ პარტიიდან არჩეული დეპუტატები უმრავლესობას შეადგენენ პარლამენტში და გადაწყვეტენ სიტყვას ამბობენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის მიზანი დღიდან შექმნილი იყო მშრომელთა სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ამ დღეებში მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათათბიროს გაფართოებულმა სხდომამ მოისმინა რაიონის გამგეობის თავმჯდომარის, მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის სპიკერის კარლო კვირიკაშვილის ანგარიში გატარებული მუშაობის შესახებ. ქვედაცაგერის მუშაობის განყოფილების გამგე შერაგ ყვირილიანი, ბიზნესის განვითარების ფონდის თავმჯდომარე ოთარ კვირეტაძე, პენსიონერი ვლადიმერ დავითილიანი, რაიონული გამგეობის განყოფილების უფროსი ნუგზარ ტვილიანი, საფინანსო განყოფილების გამგე ნაირა ბერაძე, რაიონული გაზეთის „ლეჩხუმის“ რედაქტორი ნოდარ ნემსაძე, მოქალაქეთა კავშირის წევრების ორგანიზაციის თავმჯდომარე ლეონო ლიპარტილიანი, ქვედა ცაგერის სასოფლო გამგეობის თავმჯდომარე გრიშა მეშვილიანი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რაიონის გამგეობამ უკანასკნელ ორ წელიწადში

(იხილეთ მეორე გვერდი)


ილიას ხსოვნას ეძეკვანა

1997 წლის 16 დეკემბერს ცაგერის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თავი მოიყარეს დიდი ილიას თავგანისმცემლებმა. თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ცაგერის

მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, ცენტრალურმა და საქალაქო ბიბლიოთეკებმა მოაწყვეს. მიმდინარეობდა ქვეყნის დამადებიდან 160 წლისთავს. შეკრებილთა წინაშე

მოხსენებით წარსდგა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ომარ ჭაბუკიანი. მან გრძელად მოიხილა ილიას ცხოვრება და შემოქმედება. საინტერესო იყო მოხსენებები: „ილია ქვეყნის იგი-

რია“ ლეჩხუმის შესახებ. (კ. ლეთილიანი), „ილია და სოციალ-დემოკრატები“ (მ. კუხალაშვილი) „წმინდა ილია მართალი“ (ქ. ბერიძე), „ილიას გარდაცვალების გამო“ (მ. კვარიაძე), „ადამიანის დანიშნულება ილიას მიხედვით“ (ლ. ლომთაძე).



მოისმინეს რაიონის გამგებლის ანგარიში

(დასასრული)

გარკვეული მუშაობა გაატარა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. პირველ რიგში გატარდა ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისთვის. გაიმყინდა ორგანოები უღირსი მუშაკებისაგან. დაკავებულ იქნა ბანდიტთა ჯგუფები. ქორდები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას. მაგრამ გატარებული მუშაობა არასაკმარისია. კვლავ ხდება საზოგადოებრივი და პირადი ქონების ქურდობა. ყაჩაღობა. ამყად გაუხსნილია სურმუშები ჩარკიანების ოჯახის დაყაჩაღების. ცაგერში სასურსათო მაღაზიის გაქურდვის და სხვა ფაქტები.

მნიშვნელოვანი წინგვლა ბიუჯეტის შეგების დავალებათა შესრულებაში. მოყვანილი იქნა ასეთი ფაქტები: 1995 წლის ბიუჯეტი ვერ შესრულდა. 1996 წელს გადაჭარბებით იქნა შესრულებული. ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტი ფაქტობრივად 11 თვეში შესრულდა. მისი მოცულობა სამჯერ აღემატება 1995 წლის ბიუჯეტს. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნებს ხელფასებითა და პენსიებით უზრუნველსაყოფად.

გარკვეულად გამოცოცხლდა რაიონში წარმოება, ეკონომიკა. წელს ღვინის ქარხნებმა მიიღეს და გადაამუშავეს 925 ტონა ყურძენი, შეიღება მისახელობაში შევიდა 500 ათას ლარზე მეტი. მომავლისთვის საჭიროა დაიწყოს ამ დარგის აღორძინება. კერძოდ, უნდა გაშენდეს ახალი ვენახები. რომელშიც დაირგოს პერსპექტიული ყურძნის ჯიშები ოჯალში და უსახელოური.

მაგრამ ასე ვერ ვიტყვი სოფლის მეურნეობის ზოგერთ სხვა დარგზე. კერძოდ, ხილსა და აბრეშუმზე. ვერ გამოხადებთ ხილს იმის გამო, რომ ვერ მოკლებნენ გასაღების ბაზარი. მოსახლეობაში დიდი რაოდენობითაა მსხვილფეხა და წერილფეხა პირუტყვი. მაგრამ ვერ მოვახდინეთ მათი აღრიცხვა. საჭიროა რაიონში მოეწყოს პირუტყვის სასაქლოები. რაც გარკვეულ შემოსავალს მისცემს ბიუჯეტს.

სერიოზული ნაკლოვანებებია მიწის პრივატიზაციის საქმეში. ეს პროცესი ჰიანურდება. სასოფლო-გამგებობათა მეტ წილს არ აქვთ დამთავრებული მიწის საკუთრებაში გადაცემის აქტების ჩაბარება მოს-

ახლეობისთვის. განსაკუთრებით ძვირადღირებულია ქალაქის მთავრობისთვის მიწის გათხოვება.

მისასალმებელია ის, რომ ლაჯახურავესი ოფისი-ოცია იხილა რაიონში, ოსი გასოც რაიონის ბიუჯეტსა უხდა ძილდო წელიწადში ასს ათასი ლარის შემოსავალი. თუ რაიონის 1998 წლის ბიუჯეტი 600 ათას ლარს ითვალისწინებს, აქედან ბიუჯეტია 300 ათასი ლაჯახურავესიდან უხდა ძილდო.

ბიუჯეტის შეგებისათვის ჯერ კიდევ არ არის გამოყვანილი ყველა რესურსი და საშუალება. მაგალითად ორბელისა და ოყურების ღვინის საწარმოებიდან არ იყოსთულა მოგების გადასახადი, მცირე შემოდის სოცანარიცხები, რითაც გამოდის ის, რომ ეს ქარხნები წაგებაზე მუშაობენ, არ სცემენ ხელფასებს. რაც უხდა გათვალისწინოს საგადასახადო ინსპექციამ.

სხდომებზე გრცლად გახანალებდა კავშირგაბმულობისა და ავტოსატრანსპორტო საწარმოების მუშაობა. აღინიშნა, რომ მართალია, შედგენილია კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების განვითარების პროგრამა და ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ იგი საკმარისი არ არის. სატელეფონო კავშირი ჯერ კიდევ არ არის ტვიშთან, დვირიშთან, ოყურშთან, ხუთამდე სოფელი ვერ იღებს ტელეფადაცემებს.

სხდომებზე დიდი ყურადღება დაეთმო განათლებისა და ჯანმრთელობის სისტემაში რეფორმების გატარების მიმდინარეობას. აღინიშნა, რომ ჯანმრთელობის სისტემაში რეფორმა დასასრულს უახლოვდება. საჭიროა ყველა სოფელს ყავდეს ექიმი, რაც უნდა განხორციელდეს მუნიციპალური პროგრამით. მოსახლეობამ უნდა გადაიხადოს მათი შესახისი თანხები. რაიონის მოსახლეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აშენდეს და სულ მალე ექსპლუატაციაში გავა ქალაქ ცაგერში დედათა და ბავშვთა დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელიც არა მარტო ჩაქვს მხარეში არამედ რესპუბლიკის მაშტაბითაც სანიმუშო იქნება შენობით. მოწყობილობა-დანადგარებით და მომსახურებით. განათლების სისტემაში გასატარებელი რეფორმა ძალზედ მძიმეა რაიონისთვის, რადგან თუ იმ ნორმატივებით გატარდება იგი, რაიონში ჩნდება მხოლოდ ერთი რვა წლიანი და რამდენიმე საშუალო სკოლა. ამასთან მაღალა ფულადი შენატარ-

ნები მოსწავლეთათვის, მაგრამ რაიონის გამგებობა ჯერჯერობით არ წავიდა ამ მიმართულებით. ფიქრობს თავის თავზე აილოს ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა ფულადი გადასახადის გადახდა. ამასთან, სადაც მოსახერხებელია, მიუხედავად მოსწავლეთა სიმცირისა, დატოვოს რვაწლიანი და საშუალო სკოლა.

სხდომებზე მწვავედ დაიწვა რაიონში ტყის რესურსების დაცვის საკითხი. აღინიშნა, რომ შინაურისგან თუ გარეშეთაგან უმოწყალოდ ნადგურდება ძვირფასი ტყეები და სარეა-ლიზაციოდ გადაის რაიონსა და რესპუბლიკის გარეთ. ამას თვით რესპუბლიკის მთავრობაც უწყობს ხელს არასწორად ხე-ტყის მასალის ფონდების გაცემით. ასე მოიქცა, როცა ათასობით კუბური მეტრი წიფლის ჯიშის ხე-ტყის ფონდი მისცა ერთ-ერთ ფირმას ისლარში (ლაძგერია) დასამზადებლად და თურქეთში გასატანად. რაიონის გამგებობა და სხდომის მონაწილეებმა ერთხლოვნად მოითხოვეს რაიონის გამგებობამ და მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათაბირომ ერთდროულად მიმართონ ქვეყნის პრეზიდენტს და მოქალაქეთა კავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ამ ქმედების აღსაჩივრად.

ეს ორი წელი მართლაც წინგვლის წლები იყო რაიონი კულტურულ ცხოვრებაში. აღდგა ტრადიციები. ჩატარდა ცაგერობა, ლადობა. ნაყოფიერად მუშაობს კულტურის სახლთან სიმღერისა და ციკვის ანსამბლები, რომლებიც წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებებზე. ამასთან ხაზი გაესვა იმას, რომ საჭიროა გარკვეული რეფორმები კულტურის სფეროშიც განხორციელდეს. რადგან არ ყოფნის ამ სფეროს დაფინანსება, ამიტომ საჭიროა მოხდეს ბიბლიოთეკების (ცენტრალურიცა და საკრებულოების მიხედვით) იმ ანგარიშით, რომ სოფელში იყოს კლუბი და საკრებულოში ბიბლიოთეკა.

სათაბიროს გაფართოებული სხდომებზე ბევრ პრობლემურ საკითხზე იყო მსჯელობა, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს რაიონის ეკონომიკის გაჯანსაღებას. მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესებას.

საგადასახადო ინსპექტიის პერსპექტივა საიმპრობიოთა

წელიწადი მიიწურა და როგორც იტყვიან, „წიწი-ლების დათვლის“ დროც მოვიდა. შედეგების შეჯამებისას ხშირად გასული წლების ანალოგიურ შედეგებთან შედარება გვეხმარება წინგვლის ფაქტორის დადგენაში. საგადასახადო ინსპექციის მონაცემებით წინგვლა აშკარაა. შარშან (1996 წ.) საბიუჯეტო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 128 პროცენტით შესრულდა. უნდა შემოსულიყო 171 ათას 500 ლარი, ფაქტობრივად შემოსავალმა შეადგინა 220 ათას 613 ლარი. აქედან 114766 ლარი ცენტრალურ ბიუჯეტში შევიდა, ხოლო 105800 — ადგილობრივში. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ისეთი გადასახადების ამოღების გეგმა, როგორცაა დამატებითი ღირებულების გადასახადი (ნაცვლად 50 ათასი ლარისა 97 ათასი ლარი) საშემოსავლო გადასახადი (25000-ის ნაცვლად 39600 ლარი).

წლელს თერთმეტ თვეში უკვე შესრულდა ბიუჯეტის შემოსავლების წლიური საპროგნოზო მოცულობა და პროცენტული გამოსახელებით იგი 118 პროცენტს შეადგენს. წლის ბოლომდე უნდა შემოსულიყო 227800 ლარი. ფაქტობრივად შემოსულია 249 ათასი, ხოლო ინსპექციის მონაცემებით კი 1 იანვარს ეს მაჩვენებელი 270 ათასს მიაღწევს. ე. ი. შარშანდღეზე 50 ათასი ლარით მეტს. აქედან 160 ათასი ლარი ცენტრალური ბიუჯეტისაა. ეს იმით, რომ დამატებითი ღირებულების

გადასახადი, რომელიც უხიბველოვნებაა დაბიუჯეტო შემოსავლებში, მთლიანად, 100 პროცენტით ცენტრალურ ბიუჯეტს ერიცხება. ასევე მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში მიდის აქციზის გადასახადიც, რომელიც წელს რაიონმა მრავალჯერადი გადაჭარბებით შეასრულა. დიდი გადაჭარბებითაა შესრულებული ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გდასახადების მოცულობაც — წლიური 49 ათასის ნაცვლად უკვე შემოსულია 62700 ლარი. მართალია, ვერ მიიღწევა მოგების გადასახადის, დაგიგმილი მოცულობა (24 ათასი ლარის ნაცვლად მხოლოდ 9200 ლარია შემოსული). მაგრამ ამის მიზეზი საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებია. კერძოდ ის, რომ მოხდა ფიქსირებული გადასახადის დიფერენცირება. თუ ადრე ეს გადასახადი მოგების გადასახადში ითვლებოდა, დღეს მისი დიდი ნაწილი დამატებითი ღირებულების გადასახადში მიდის.

ინსპექციის უფროსის მოადგილე, საგადასახადო ინსპექციის საწარმოთა დაბეგვრის განყოფილების უფროსის კახა კოპალიანის აზრით, აშკარაა პროგრესი გადასახადების ამოღებაში, რაც გამოიწვია საწარმოთა ამოქმედებამ (საქსოფლმშენკომლექსი, ლეონის ქარხნები, რაიკო-ობერატევი) როგორც ჩანს, დამდეგი წელი ამ თვალსაზრისით უკეთესი უნდა იყოს. წინგვლა, აშკარაა, ჩვენს ეკონომიკასაც ნელ-ნელა დაეცემა აღორძინება.

მოსახლეობის აღწერა: პირველად დამოუკიდებელ საქართველოში

როგორც ცნობილია, 1999 წლის იანვარში გათვალისწინებულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება. აღწერისათვის მზადება და მისი ჩატარება საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით დავალებული აქვს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს. ამდენად რაიონებში ამ საქმეს განაგებენ სახელმწიფო სტატისტიკის განყოფილებები.

სწორედ ამიტომ აღწერისათვის მზადების, აღწერის ჩატარების მნიშვნელობის, დოკუმენტაციის შევსების წესებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე განმარტება ვთხოვეთ სახელმწიფო სტატისტიკის რაიგანყოფილების უფროსს შოთა გომიძეს.

საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულებით 1999 წლისათვის გათვალისწინებულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება.

საქართველოში მოსახლეობის ბოლო აღწერა ჩატარდა 1989 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის თარგელებში. მას შემდეგ ნახევარ მულონზე მეტმა

(დასასრული მე-8 გვერდზე)

